პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N....

..... 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების წესი და ზღვრული ოდენობა დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე
დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 26 ოქტომბრის N..... დადგენილების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი და ზღვრული ოდენობა

მუხლი 1. წინამდებარე ნორმატიული აქტი ადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით რეალურად გაღებული ხარჯების ანაზღაურების წესსა და ზღვრულ ოდენობას.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების (საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების ინიციირება, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი /თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა) განხორციელების მიზნით, საჭირო ტექნიკური საშუალებებით მომსახურებას უწევს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით საკრებულოსათვის გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯების მუხლებიდან. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არათანამდებობის პირ საკრებულოს წევრებს შესაძლებელია აუნაზღაურდეს მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაღებული სხვადასხვა ხარჯები, აღნიშნულის თაობაზე საკრებულოს აპარატში დასაბუთებული, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს რეალურად გაწეული მატერიალური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებას, მისი შედგენის თარიღს, გაწეული ხარჯის დანიშნულებას, თანხობრივ მონაცემებს, აღნიშნულის შესახებ დამადასტურებელ ხელმოწერებს.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების

მიზნით გაწეული ტრანსპორტირებისა (საწვავის) და ამომრჩევლებთან კომუნიკაციის (მობილური ტელეფონით სარგებლობის) ხარჯები, რომელიც განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების მასშტაბის გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, ყოველი თვის დასაწყისში (1-3 რიცხვი) საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ ანგარიში საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, წინა თვეში გაწეული ტრანსპორტირების (საწვავის) ხარჯის შესახებ, რომელშიც აისახება თვეში ლიმიტით დადგენილი და ფაქტობრივად მოხმარებული საწვავის, თვის დასაწყისსა და თვის ბოლოს გავლილი კილომეტრაჟის ოდენობა, საწვავის ტიპი, საწვავის ჩასხმის ადგილმდებარეობა.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზედა ზღვარი თვეში განისაზღვრება 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით რეალურად გაწეული მატერიალური ხარჯები ანაზღაურდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ყოველი თვის არაუგვიანეს 1-ლი რიცხვისა (თუ 1-ლი რიცხვი უქმე ან დასვენების დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს), საკრებულოს წევრის მიერ, საკრებულოს აპარატში საკრებულოს წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, რეალურად გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების დასაბუთების შესახებ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ, საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათის შესაბამისად.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 7. დაუშვებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება ფულადი ჯილდოებისა და სახელფასო დანამატების სახით.

მუხლი 8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ასანაზღაურებელი ხარჯების რაოდენობაში არ ითვლება სამივლინებო ხარჯები. საკრებულოს წევრის სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურის მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვის დადგენილი წესები.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო
განყოფილების უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ**

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უნდა განისაზღვროს საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

ბ. პროექტის მიღების მიზანი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის განსაზღვრა და დარეგულირება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

3. **დადგენილების პროექტის შემდგენელი:**

დადგენილების პროექტი შეადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - სამდივნო განყოფილების უფროსმა, ცაგური პატარიძემ.

5. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო
განყოფილების უფროსი

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 9 22 00033427

18/10/2022

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა 2022 წლის 14 სექტემბრის №45-45222577 და 12 ოქტომბრის №45-45222854 წერილებით სამართლებრივი კონსულტაციისათვის განმეორებით წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ და გაცნობებთ, რომ მის მიმართ არსებითი ხასიათის სამართლებრივი შენიშვნები არ გვაქვს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე